



ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება საქართველოში

სახელმძღვანელო

2025 წლის ივნისი

ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება საქართველოში

სახელმძღვანელო

2025 წლის ივნისი

წინამდებარე სახელმძღვანელო მოამზადეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მსოფლიო ბანკმა „ევროპასა და ცენტრალურ აზიაში კლიმატის ცვლილებისადმი სრულმასშტაბიანი ეკონომიკური მიდგომის“ ეგიდით განხორციელებული „მწვანე გარდაქმნისთვის მთავრობის შეძლებლობათა გაძლიერების“ პროგრამის, „სამხრეთ კავკასიის კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის“ პროგრამისა და „მწვანე, მედეგი და სუფთა სამხრეთ კავკასიის“ პროგრამის ფარგლებში.



ფოტო: Siarhei Liudkevich / Shutterstock.com

■ შინაარსი

მადლიერების გამოხატვა	1
ბავშვებით ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებას	2
ნაწილი პირველი: შესავალი	4
კლიმატის ცვლილება	5
კლიმატის ეროვნული პოლიტიკა საქართველოში	6
კლიმატის ცვლილების შერბილება	12
ადაპტაცია კლიმატის ცვლილებასთან	15
ნაწილი მეორე: ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება	16
ა არის ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება?	17
რატომ არის ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება მნიშვნელოვანი?	17
ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების ნაბიჯები	25
ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების ნაბიჯები სახელმძღვანელო კითხვებით	28
ნაწილი მესამე: პრაქტიკული მიმოხილვები ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დასაქვშირებლად	34
სახელმწიფო ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან კავშირი ნაბიჯ-ნაბიჯ	35
დანართი: ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების ელემენტარული ინსტრუმენტი	39

ეს სახელმძღვანელო არის მსოფლიო ბანკის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა საკვანძო უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგი.

მსოფლიო ბანკის გუნდს ხელმძღვანელობდნენ საშა ეიჰბერგერი, გარემოს დაცვის უფროსი სპეციალისტი ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის გარემოს დაცვის განყოფილებიდან და კაი კაიზერი, მმართველობისა და საჯარო სექტორის უფროსი სპეციალისტი ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის საინსტიტუციო განყოფილებიდან. გუნდს წევრები იყვნენ: დარეჯან კაპანაძე, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის გარემოს დაცვის უფროსი სპეციალისტი; კახაბერ მდივანი, კონსულტანტი კლიმატის ცვლილების დარგში; და ნატალია ალხაბიშვილი, კონსულტანტი საჯარო ფინანსების დარგში. გუნდს საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ სანჯაი სრივასტავა, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის გარემოს დაცვის განყოფილების მენეჯერი; ფაბიან სეიდერერი, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის საინსტიტუციო განყოფილების მენეჯერი; და როლანდ პრაისი, მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში. გუნდს მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა გაუწია ქეთევან ჩიტაშვილმა.



ფოტო: @Kufotos / freepik.com

გაეცანით ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებას

ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება არის მნიშვნელოვანი, ინფორმატული, განმავითარებელი, გამომწვევების შემცველი, აქტუალური და ყოველგვარ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული!

ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება არის:

- მნიშვნელოვანი, რადგან კლიმატთან დაკავშირებული საჭარო დანახარტები ჩვენი ცხოვრების ნაწილია.
- ინფორმატული, რადგან ის გვაწვდის ინფორმაციას კლიმატის ცვლილების პოლიტიკასთან დაკავშირებული საბიუჯეტო სახსრების შესახებ და ზრდის ანგარიშვალდებულებას.
- განმავითარებელი, რადგან მას შეუძლია მოახდინოს კლიმატის ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და ვალდებულებების მისაღწევად აუცილებელი სახსრების მობილიზება დადგენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და დეფიციტის აღმოსაფხვრელად.
- გამომწვევების შემცველი, რადგან ის მოითხოვს მრავალდარგოვან მიდგომას პოლიტიკასთან დაკავშირებული იმგვარი გადაწყვეტილებების მოსაძიებლად, რომლებიც გავლენას მოახდენს ჩვენს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.
- აქტუალური, რადგან მთელი მსოფლიო დგას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების წინაშე, რაც გავლენას ახდენს გლობალურ ეკონომიკურ საქმიანობაზე, საერთაშორისო ურთიერთობებსა და ადამიანის სიცოცხლეზე.
- დაკავშირებული ყოველგვარ ეკონომიკურ საქმიანობასთან,

რადგან ჩვენს მიერ გამოყენებული თითოეული პროდუქტის მიღებისას ამა თუ იმ რაოდენობის ნახშირორჟანგის გაიფრქვევა, იქნება ეს ღუმელში გამომცხვარი ნამცხვარი, თუ ტაქსით მომსახურება. ყოველი პროდუქტის წარმოებისას მოიხმარება ენერგია და წარმოიქმნება ისეთი აირები, რომლებიც კლიმატის ცვლილებას უწყობს ხელს. ასევე, კლიმატის ცვლილებით გახშირებული სტიქიური მოვლენები გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე: მაგ. ქარიშხალი აზიანებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, თბური ტალღები კი აწუხებს ქალაქის მოსახლეობას.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია მკითხველს მიაწოდოს სიღრმისეული ცოდნა ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დასაკავშირებლად, საქართველოსთვის სპეციფიკური პროცესებისა და ფაქტორების გათვალისწინებით. იგი დაეხმარება მკითხველს საბიუჯეტო ხარჯებიდან კლიმატთან დაკავშირებულ ქმედებებში შეტანილი წვლილის დადგენის მეთოდების ათვისებაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მაგალითზე. სახელმძღვანელოს სრულფასოვნად გამოყენებისთვის:

- გაეცანით კლიმატის ცვლილების ძირითად ტერმინოლოგიას და გაისიგრძეგანეთ განსხვავება ცვლილების შერბილებასა და მასთან ადაპტაციას შორის საქართველოში კლიმატთან დაკავშირებულ ქმედებათა კონკრეტულ კონტექსტში.
- მიჰყევით სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ ნაბიჯებს საბიუჯეტო სახსრების კლიმატთან დასაკავშირებლად შერბილებისა და ადაპტაციის მიხედვით.
- დაადგინეთ ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების გავლენა კლიმატის ცვლილებაზე წინამდებარე სახელმძღვანელოში აღწერილი ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით.
- შეაფასეთ სახელმწიფო ბიუჯეტში შერბილებასა თუ ადაპტაციაზე გაწერილი ხარჯების წილი ბიუჯეტის ქვედა დონეზე გათვალისწინებული პროგრამების თითოეულ ქმედებაში.

სახელმძღვანელო დაგაკვალიანებთ ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებაში დეტალური მითითებებით კლიმატთან დაკავშირებული ქმედებებს გამოვლენის, საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული კონკრეტული ქმედებებით კლიმატის ცვლილების კუთხით მოტანილი სარგებლის შეფასების, და მთლიან ბიუჯეტში კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების დასადგენის შესახებ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადმინისტრირებას უწევს კლიმატთან შესატყვისი ეროვნული სახელმწიფო დაფინანსების ტაქსონომიასა და წინამდებარე სახელმძღვანელოს მათი პერიოდული განახლებით ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, აწვდის განახლებულ სახელმძღვანელოს მხარტველ ორგანიზაციებს რომლებიც აწარმოებენ ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებას და უზრუნველყოფს ბიუჯეტის კლიმატთან დაკავშირების სახელმძღვანელოსთან სატარო წვდომას გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე მისი განთავსების გზით.



ნაწილი პირველი: შესავალი

სახელმძღვანელოს ეს ნაწილი ეხება **კლიმატის ცვლილებას**. იგი განსაზღვრავს კლიმატის ცვლილების ეროვნულ სამოქმედო მიზნებსა და სექტორულ ამოცანებს საქართველოში, რომელთა მიღწევას ცდილობენ გადაწყვეტილების მიმღები მხარეები კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკისა და ქმედებების წახალისების გზით. იგი ასევე განმარტავს, თუ როგორ გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება სახელმწიფო ბიუჯეტზე.

კლიმატის ცვლილება არის გასული საუკუნის განმავლობაში ძირითადად წიაღისეული საწვავის გამოყენებისას გაფხვეული სათბურის აირებით გამოწვეული დედამიწის ზედაპირის ტემპერატურის უჩვეულოდ სწრაფი მატება.

წყარო: NASA

დედამიწის კლიმატი იცვლება. მოსალოდნელია, რომ გლობალური კლიმატი განაგრძობს ცვლილებას, როგორც მიმდინარე საუკუნის განმავლობაში, ასევე მის შემდეგაც. უახლოეს მომავალში კლიმატის ცვლილების მასშტაბი ძირითადად დამოკიდებული იქნება სათბურის აირების გლობალური გაფრქვევის ოდენობაზე და იმაზე, თუ რამდენად მგრძნობიარე იქნება დედამიწის კლიმატი ასეთი გაფრქვევის მიმართ. თუ სათბურის აირების გაფრქვევა მნიშვნელოვნად შემცირდა, საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდამ შეიძლება შეადგინოს 2°C , ან უფრო ნაკლები. თუმცა, გაფრქვევის მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე, ტემპერატურის საშუალო წლიურმა მატებამ საუკუნის ბოლოსთვის შეიძლება 5°C -ს, ან უფრო მეტსაც მიაღწიოს.

პარიზის შეთანხმება¹ მიზნად ისახავს გლობალური ტემპერატურის საშუალო მატება ინდუსტრიალიზაციამდელ დონესთან შედარებით 2°C -ზე დაბლა შენარჩუნდეს და მიღებულ იქნას ზომები, რომ იგი $1,5^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში დარჩეს. ამ მიზანს ეხმიანება კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი საბჭოს სპეციალური ანგარიში $1,5^{\circ}\text{C}$ -ით გლობალური დათბობის შესახებ.² იგი აჭამებს კლიმატის ცვლილების ამჟამინდელ მეცნიერულ გაგებას და ხაზს უსვამს იმ მძიმე შედეგებს, რაც მოჰყვება ტემპერატურის მატებას $1,5^{\circ}\text{C}$ -ზე მეტად. იგი მიუთითებს, რომ ეკონომიკის ბევრ სექტორში საჭირო იქნება სტრუქტურული ცვლილების გატარება ასეთი სცენარის თავიდან ასაცილებლად. ამ დასკვნების გათვალისწინებით, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ღონისძიებების გატარება უნდა დაიწყოს შეძლებისდაგვარად მალე, რათა 2030 წლისთვის მიღწეული იქნას მნიშვნელოვანი შედეგები.

2020 წლიდან 2029 წლამდე პერიოდი განიხილება როგორც გადამწყვეტი პერიოდი, როდესაც სათბურის აირების გლობალურმა გაფრქვევამ პიკს უნდა მიაღწიოს, რაც ნათელყოფს მის შესამცირებლად ზომების მიღების მნიშვნელობას. სათბურის აირების გაფრქვევისგან ეკონომიკური ზრდის განცალკევება ბევრმა ქვეყანამ განიხილა, როგორც მათი დაბალემისიანი განვითარების ოპერატიული ინსტრუმენტი. განცალკევების ძირითადი იდეა არის ის, რომ ქვეყნები ცდილობენ იპოვონ ეკონომიკური განვითარების ეროვნული გზები ენერგიის იმგვარი წყაროების, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის გამოყენებით, რომლებსაც აქვთ სათბურის აირების ნულოვანი ან ნაკლები გაფრქვევა. მაგალითად, მშენებლობაში შეიძლება თბოსაიზოლაციო სამშენებლო მასალებს გამოყენება, რათა შემცირდეს ენერგიის მოხმარება შენობათა გათბობა-გაგრილებისას.

უმეტეს შემთხვევებში, ჩვეული მიდგომების ჩანაცვლება ნახშირორჟანგის ნაკლებად გამფრქვევი ალტერნატივებით არ არის მიმზიდველი ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან ამან

¹ პარიზის შეთანხმება - საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიზანია „შეინარჩუნოს გლობალური საშუალო ტემპერატურის მატება 2°C -მდე პრეინდუსტრიულ მაჩვენებელზე მეტად და განაგრძოს მცდელობა, რომ შეზღუდოს ტემპერატურის ზრდა $1,5^{\circ}\text{C}$ -მდე პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით.

² <https://www.ipcc.ch/sr15/>.

შეიძლება გაზარდოს კაპიტალური და საინვესტიციო ხარჯები და დამატებით ტვირთად დააწვეს მოსახლეობას; განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც უმუშევრობის მაღალი დონე და დაბალი შემოსავლებია³.

მეორე მხრივ, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები ზრდის ინფრასტრუქტურის ცვეთას და არაგეგმურ დანახარჯებს, რადგან საჭირო ხდება ბუნებრივი კატაკლიზმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

კლიმატის ცვლილების საპასუხოდ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელია როგორც დაგროვილი სამეცნიერო - ტექნიკური ცოდნა და სათბურის აირების გაფრქვევის შემცირების (შერბილების) საუკეთესო ხელმისაწვდომი ალტერნატივები, ისე სტიქიურ მოვლენათა ხდომილების ალბათობა და საფრთხე.

1994 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციასთან⁴ მიერთების შემდეგ, საქართველომ დაიწყო ამ კონვენციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების აღსრულება. ვალდებულების ფარგლებში მომზადდა ოთხი ეროვნული შეტყობინება, ორი ორწლიური განახლებული ანგარიში და ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის ორი დოკუმენტი - 2016⁵ და 2021⁶ (განახლებული). გარდა ამისა, საქართველომ შეიმუშავა კლიმატის სტრატეგია 2030⁷ და სამოქმედო გეგმები მისი განხორციელებისათვის 2021-2023 და 2024-2025 წლებში, ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული ეროვნული გეგმა 2021-2030 წლებისათვის⁸, გრძელვადიანი დაბალემისიანი განვითარების კონცეპტია 2050⁹, და განახორციელა ტექნოლოგიური საჭიროებების სამი შეფასება¹⁰. ეროვნული შეტყობინებების შემუშავების თითოეულ ციკლში განიხილული იყო ეროვნული გარემოებები და გამოწვევები. ამ საფუძველზე განისაზღვრა შერბილებისა და ადაპტაციის პრიორიტეტები და მომზადდა დამხმარე რეკომენდაციები.

ორწლიურ განახლებულ ანგარიშებში წარმოდგენილი იყო ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა და მისი კავშირი სათბურის აირების გაფრქვევის შემცირებასთან. ამ დოკუმენტებში აღწერილია განხორციელებული, მიმდინარე და გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებები და საადაპტაციო ეფექტები.

³ <https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement>.

⁴ https://unfccc.int/sites/default/files/convention_text_with_annexes_english_for_posting.pdf.

⁵ https://unfccc.int/sites/default/files/NDC/2022-06/INDC_of_Georgia.pdf.

⁶ https://unfccc.int/sites/default/files/NDC/2022-06/NDC%20Georgia_ENG%20WEB-approved.pdf.

⁷ <https://mepa.gov.ge/En/PublicInformation/32027/>.

⁸ https://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/2024/sakartvelos_sakhelmcifos_energetikuli_politika_damtkicebuli_24/sakartvelos_energetikisa_da_klimatis_erovnuli_integrirbuli_gegma_damtkicebuli.pdf.

⁹ file:///C:/Users/wb173396/Downloads/leds_eng_web1.pdf.

¹⁰ <https://weg.ge/en/final-report-technology-needs-assessment-project>.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში აღწერილი კვლევები და პროგნოზები გათვალისწინებული იქნა როგორც ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის ანგარიშის, ასევე კლიმატის ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

მიუხედავად ზემოთ აღწერილისა, სამოქმედო გეგმის გარდა, ამ დოკუმენტების უმეტესობა არ შეიცავს, ან ნაკლებად ეხება კლიმატის ცვლილების შერბილების/ადაპტაციის ხარჯების შეფასებას. ამიტომ პრიორიტეტული სექტორები და რესურსები განისაზღვრება შერბილების პოტენციალისა და ადაპტაციის საჭიროების დადგენის საფუძველზე.

საქართველოში კლიმატის ცვლილების ეროვნული პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს დანახარჯების დაკავშირებას სათბურის აირების გაფრქვევის შემცირებასთან, ან კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის საადაპტაციო შესაძლებლობებთან. ამ მიმართულებით გადასადგმელი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი არის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დაკავშირება შერბილებისა და ადაპტაციის საქმიანობასთან.

საქართველომ უკვე შეიძინა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის შემუშავების გამოცდილება წინასწარ განსაზღვრული მწვანე საქმიანობისთვის. 2019 წელს საქართველოში მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის¹¹ ამოქმედებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მხარი დაუჭირა ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას ქვეყნის მდგრად განვითარებაში. ამ გზამკვლევის მიზანია უზრუნველყოს სანდო, განჭვრეტადი და სტაბილური მარეგულირებელი ჩარჩო და მოამზადოს ბაზარი მდგრად დაფინანსებაზე გადასასვლელად.


კლიმატის ცვლილებით გამძაფრებული უამინდობა, გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული ბუნებრივი საფრთხეები და ისეთი სოციალური საკითხები, როგორიცაა სიღარიბე, უთანასწორობა და არსებით მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობა, საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ფინანსურ სტაბილურობას. შესაბამისად, მდგრადი დაფინანსება აერთიანებს არა მხოლოდ კლიმატის დაფინანსებას, არამედ გარემოსა და სოციალური სფეროს დაფინანსების ასპექტებს ბიზნესის გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობისთვის და მთლიანად იმ ფინანსური სისტემის სტაბილურობისთვის, რომელშიც ისინი მოქმედებენ.

დღესდღეობით არ არსებობს ერთიანი მიდგომა მდგრადი დაფინანსებისადმი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია, რათა ხელი შეუწყოს როგორც ცალკეულ საწარმოებში, ისე მთელ სისტემაში იმ გარემოებათა გამოვლენას, შეფასებასა და მართვას,

¹¹ [მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი](#).

რომლთაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან მდგრადობას, აგრეთვე, შეამციროს შეუსაბამო ტიპის საქმიანობათა მწვანედ წარმოჩენის რისკი. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია მოიცავს მწვანე ტაქსონომიას და სოციალურ ტაქსონომიას (იხ. სურათი 1).

სურათი 1. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის სქემა



მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მწვანე ნაწილი მოიცავს 11 კატეგორიას იმ ქმედებების გამოსავლენად, რომლებიც მხარს უჭერს კლიმატის, მწვანე განვითარების, სოციალური, ან მდგრადი მიზნების მიღწევას. ეს კატეგორიებია:

- განახლებადი ენერგია
- ენერგოეფექტურობა
- ნარჩენების მართვა
- მდგრადი წყალი
- დაბინძურების აცილება და კონტროლი
- მდგრადი ტრანსპორტი
- მდგრადი სოფლის მეურნეობა
- ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია
- მდგრადი შენობები და მშენებლობა
- მდგრადი წარმოება
- გაჭრობა და მწვანე მომსახურება.

ვინაიდან მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მწვანე ნაწილი მიზნად ისახავს მიაღწიოს არა მხოლოდ კლიმატის ცვლილების, არამედ გარემოსდაცვით, სოციალურ და მდგრადობის მიზნებს, ამ თერთმეტი კატეგორიის ფარგლებში გამოვლენილი ყველა ქმედება არ არის დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასთან. შესაბამისად, მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიაში ჩამოთვლილი ქმედებები გაფილტრული იქნა კლიმატთან კავშირის საფუძველზე, იქნება ეს შერბილება თუ ადაპტაცია. სათბურის აირების გაფრქვევის შემცირების მხარდამჭერი ქმედებები განხილული იქნა შემარბილებელ ღონისძიებებად, ხოლო კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების შემცირების ხელშემწყობი ქმედებები - ადაპტაციის ღონისძიებებად.

მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის ანალიზი ცხადყოფს, რომ კლიმატის სამოქმედო გეგმაში აღწერილი ქმედებები, ან ეროვნულ შეტყობინებაში წარმოდგენილი ადაპტაციის რეკომენდებული ღონისძიებები არ არის შესული მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიაში. მაგალითად, მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში ადაპტაციის ერთ-ერთი რეკომენდებული ქმედება არის „კლიმატის ცვლილების საკითხების გათვალისწინება ტურიზმის პოლიტიკაში, სტრატეგიებსა და განხორციელების გეგმებში“. ეს ქმედება არ შედის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიაში. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტში კლიმატის პოლიტიკის განვითარების სექტორული მიზნები ჩამოყალიბებულია როგორც ჩანს ქვემოთ მოყვანილ საინფორმაციო ველში.

დარგობრივი მიზნები ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილში

- „საქართველო გეგმავს 2030 წლისთვის 15%-ით შეზღუდოს სათბურის აირების გაფრქვევა სატრანსპორტო სექტორში საბაზისო დონის საფუძველზე გაკეთებულ პროგნოზებთან მიმართებით.
- საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი მხარს უჭერს დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარებას შენობების სექტორში, მათ შორის, სახელმწიფო და ტურისტული დანიშნულების შენობების მიმართულებით კლიმატის მიზნებზე მორგებული ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურების წახალისების გზით.
- საქართველო გეგმავს 2030 წლისთვის 15%-ით შეზღუდოს სათბურის აირების გაფრქვევა ენერგიის გამომუშავებისა და გადაცემის სექტორში საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით.
- ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი მხარს უჭერს დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარებას სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობისა და აგრო- ტურიზმის წახალისების გზით.
- საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი მხარს უჭერს დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარებას სამრეწველო სექტორში კლიმატის მიზნებზე მორგებული ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მომსახურების წახალისების გზით, რათა მიღწეული იქნას გაფრქვევის 5%-იანი შეზღუდვა ღონისძიებების გატარების გარეშე პროგნოზირებულ დონესთან შედარებით.

- საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი მხარს უჭერს დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარებას ნარჩენების სექტორში კლიმატის მიზნებზე მორგებული ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მომსახურების წახალისების გზით და სეპარაციის პრაქტიკისა და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობით.
- საქართველო გეგმავს 2030 წლისთვის 10%-ით გაზარდოს ნახშირბადის შთანთქმის უნარი სატყეო სექტორში 2015 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით.
- საქართველო აპირებს შეაფასოს კლიმატის ცვლილების ზეგავლენა მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის რესურსების ხელმისაწვდომობაზე სოფლის მეურნეობის (ირიგაციის), ენერგიის გამომუშავებისა და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის მდგრადი გამოყენებისათვის გრძელვადიანი პერსპექტივით;
- საქართველო აპირებს შეაფასოს კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მთის ეკოსისტემებზე მყინვარებისა და მთის ქედების მდგრადი მართვის მიზნით;
- საქართველო აპირებს წაახალისოს ენდემური სახეობების კონსერვაცია შესაბამის ეკოსისტემებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების პროგნოზირების მეშვეობით;
- საქართველო აპირებს წინასწარ შერჩეულ ტერიტორიებზე ტყის მიწების ყველაზე დაუცველი ადგილების შესწავლას;
- საქართველო აპირებს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეაფასოს ეროვნულ მშპ-ში მთავარი წვლილის შემტანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოწყვლადობის დონე (მაგ. ყურძენი, თხილი) და/ან ადგილობრივად უნიკალური პროდუქტებისა, როგორიცაა ქართული თაფლი, რომელიც დაკავშირებულია კლიმატის პარამეტრების ცვლილებასთან და ინფექციების გავრცელებასთან;
- საქართველო აპირებს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების განვითარებას ყველაზე დაუცველი ზამთრისა და საზღვაო კურორტებისთვის;
- საქართველო აპირებს სოციალურ, ეკონომიკურ, ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ და ფიზიკურ სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დარგთაშორისი შესწავლის გზით შეაფასოს კლიმატის ცვლილების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- საქართველო აპირებს ხელი შეუწყოს ექსტრემალური ამინდის მოვლენებით გამოწვეული დანაკარგებისა და ზარალის შემცირების ღონისძიებებს.“

ბთხოვთ
გაითვალისწინოთ, რომ
ერთი სამინისტროს
სამშრომლობა კლიმატთან
შესატყვისი ეროვნული
სახელმწიფო
დაფინანსების
ტაქსონომიაში ერთზე
მეტი სექტორს მოიცავს!

კლიმატთან შესატყვისი ეროვნული სახელმწიფო დაფინანსების ტაქსონომია ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების პროცესის საწყისი წერტილია. იგი მოიცავს ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც მხარს უჭერს კლიმატის პოლიტიკის განხორციელებას როგორც შერბილების, ისე ადაპტაციის მიმართულებით. აქედან გამომდინარე, კლიმატთან შესატყვისი ეროვნული სახელმწიფო დაფინანსების ტაქსონომია შექმნილია მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის და კლიმატის ეროვნული პოლიტიკის ძირითად დოკუმენტების საფუძველზე. მაგალითად, შემარბილებელი ღონისძიებები განისაზღვრა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის, დაბალემისიანი განვითარების კონცეფციის, კლიმატის სამოქმედო გეგმისა და ეროვნული ბიუჯეტის ქვეპროგრამების შერწყმით. ადაპტაციის ქმედებების ჩამონათვალი შემუშავდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის, ეროვნული შეტყობინებისა და ეროვნული ბიუჯეტის ქვედა დონის პროგრამებზე დაყრდნობით, რამდენადაც ადაპტაციის ეროვნული გეგმა ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია.

კლიმატთან შესატყვისი ეროვნული სახელმწიფო დაფინანსების ტაქსონომია შერბილების მიმართულებით ფარავს შვიდ ეკონომიკურ სექტორს, ხოლო ადაპტაციის მიმართულებით - რვა სექტორს. კლიმატის ეროვნული სახელმწიფო დაფინანსების ტაქსონომია¹² ცოცხალი დოკუმენტია და უნდა განახლდეს ეროვნულ პრიორიტეტებსა თუ საბიუჯეტო პროგრამებში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე. ტაქსონომიის ეს მოქნილობა სასარგებლოა მომხმარებლებისთვის, რადგან საშუალებას აძლევს ყოველთვის ჰქონდეთ წვდომა თანადროულ ინფორმაციაზე.

¹² ამჟამად, ტაქსონომიის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: https://docs.google.com/spreadsheets/d/1aVyXmFHV8FsYjUzkY5-OjftsJisK54_V/edit?pli=1&gid=1657210666#gid=1657210666.



ფოტო: @Martinm303 / freepik.com

კლიმატის ცვლილების შვრბილება

კლიმატის ცვლილების
შვრბილების დამატებითი
განმარტებაები:

„კლიმატის ცვლილების
კონტაქსტში, ადამიანის
ჩარევა სატბურის
აირების წყაროების
შვმცირების ან გაზრდის
მიზნით“.

წყარო: The United Nations
Framework Convention on
Climate Change (UNFCCC)

„შვმდებარე შვიძლება
კლასიფიცირდეს
როგორც კლიმატის
ცვლილების შვრბილება,
თუ იგი სატბურის
აირების გაფრქვევის
თავიდან აცილებით,
შვმცირებით, ან
სატბურის აირების
მოშვმებაული ჩაჭვრით
არსებითად უწყობს
ხელს სატბურის აირების
კონცენტრაციის
სტაბილიზაციას
ატმოსფეროში იმ
დონეზე, რომელიც არ
წარმოადგენს კლიმატის
სისტემაში სახიფათო
ანტროპოგენურ ჩარევას
და შესაძლებელს ხდის
პარების შვმთანხმებაში
დასმული ტვმპერატურის
გრძელვადიანი მიზნების
მიღწევას“.

წყარო: World Bank

მედებებს, რომლებიც ამცირებენ ადამიანის მიერ გამოწვეულ
კლიმატის ცვლილებას, **შვმარბილებელი ქმედებები ეწოდება**.
ეს მოიცავს ღონისძიებებს სატბურის აირების გაფრქვევის
შესამცირებლად ან სატბურის აირების ჩასაჭერად.
შვმარბილებელი ქმედებების მაგალითებია წიაღისეული
საწვავის უფრო ეფექტურად გამოყენება სამრეწველო
პროცესებში ან ელექტროენერგიის წარმოებაში, მზის ან ქარის
ენერგიაზე გადასვლა, შენობების თბოიზოლაციის გაუმჯობესება
და ტყეების ან სატბურის აირების სხვა ჩამჭერების გაფართოება
ატმოსფეროდან ნახშირორჟანგის (CO₂) მეტი რაოდენობის
მოსაშორებლად.

**შვმარბილებელი ღონისძიებები ამცირებს, ზღუდავს ან
შთანტქავს სატბურის აირებს კლიმატის ცვლილების
შესარბილებლად.**

მნიშვნელოვანია ეროვნულ ბიუჯეტში შეტანილი იმ
ქმედებების დადგენა, რომლებიც მოიცავს სატბურის აირების
გაფრქვევის შემცირებას ან ჩაჭერას. სიზუსტისა და სისრულის
უზრუნველსაყოფად პროგრამები უნდა შეფასდეს ქვე-დონეზე და
ქვე-ქვე-დონეზე. მაგალითად, საჯარო სკოლების მშენებლობისა
და რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს
ენერგოეფექტური ელემენტების დამონტაჟებას, როგორიცაა
თბოიზოლირებული ფანჯრები და ცენტრალური გათბობის
სისტემები. კარგად იზოლირებული შენობა ცენტრალური
გათბობის სისტემით მოიხმარს ნაკლებ ენერგიას კვადრატულ
მეტრზე, ვიდრე ცუდად იზოლირებული. შესაბამისად, საჯარო
სკოლების განახლება და გაუმჯობესება შეამცირებს სატბურის
აირების გაფრქვევას. შვმარბილებელი ღონისძიების კიდევ
ერთი მაგალითია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების
მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებთათვის მიწოდებული
ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ქვეპროგრამა,
რომელიც ხელს უწყობს ტყეების არამდგრადი გაჩეხვის
შემცირებას. ეს ქმედება მიმართულია ჩაჭერილი
ნახშირორჟანგის ოდენობის შენარჩუნებისკენ.

ქვეპროგრამები განიხილება, როგორც კლიმატის ცვლილების
შვმარბილებელი, თუ ისინი მოიცავს საქმიანობას, რომელიც
ხელს უწყობს სატბურის აირების გაფრქვევის შემცირებას და/ან
ნახშირორჟანგის ჩაჭერას.

იმის შესაფასებლად, მოსალოდნელია თუ არა ქვეპროგრამის
მიერ სატბურის აირების შემცირება, უნდა ვიცოდეთ აღწერილი
ქმედებას საერთოდ ახლავს თუ არა სატბურის აირები. სატბურის
აირების გაფრქვევის წყაროები განსხვავებულია 7 სექტორს
შორის.

ენერგეტიკის სექტორში	- ენერგეტიკის სექტორში სათბურის აირები წარმოიქმნება, როდესაც: • ხდება ნებისმიერი წიაღისეული საწვავის მოხმარება (ბუნებრივი აირი, ბენზინი, დიზელი და ა.შ.); • ადგილი აქვს ნებისმიერი წიაღისეული საწვავის აორთქლებას, სუბლიმაციას ან გაჟონვას (ბუნებრივი აირი, ბენზინი, დიზელი, ა.შ.); • ხდება ნახშირორჟანგის ტრანსპორტირება და შენახვა.
ტრანსპორტის სექტორში	ტრანსპორტის სექტორში სათბურის აირები წარმოიქმნება, როდესაც: • ხდება ნებისმიერი წიაღისეული საწვავის მოხმარება (ბუნებრივი აირი, ბენზინი, დიზელი და ა.შ.); • ხდება წიაღისეული საწვავის აორთქლება, სუბლიმაცია ან გაჟონვა (ბუნებრივი აირი, ბენზინი, დიზელი და ა.შ.)
სამშენებლო სექტორში	სამშენებლო სექტორში სათბურის აირები წარმოიქმნება, როდესაც: • ხდება ნებისმიერი წიაღისეული საწვავის მოხმარება (ბუნებრივი აირი, ბენზინი, დიზელი და ა.შ.);
სამრეწველო სექტორში	სამრეწველო სექტორში სათბურის აირები წარმოიქმნება: • ნებისმიერი წიაღისეული საწვავის მოხმარებისას (ბუნებრივი აირი, ბენზინი, დიზელი და ა.შ.); • მინერალების, ქიმიკატების, ლითონებისა და ელექტრო საქონლის წარმოებისას; • საპოხი მასალების, პარაფინის ცვილის, გამხსნელებისა და ოზონის დამშლელი ნივთიერებების გამოყენებისას.
სოფლის მეურნეობის	სოფლის მეურნეობის სექტორში სათბურის გაზები წარმოიქმნება: • ნებისმიერი წიაღისეული საწვავის მოხმარებისას (ბუნებრივი აირი, ბენზინი, დიზელი და ა.შ.); • ნაწლავური ფერმენტაციის დროს (საქონლის კვებისას); • ბუნებრივი სასუქის გამოყენებისას (საძოვარზე სასუქის განთავსება, ნაკელის გაშრობა ან დასაწყობება და ა.შ.); • აზოტოვანი სასუქების გამოყენებისას; • ნიადაგის დეგრადაციის დროს.
ნარჩენების სექტორში	ნარჩენების სექტორში სათბურის აირები წარმოიქმნება: • ნებისმიერი წიაღისეული საწვავის მოხმარებისას (ბუნებრივი აირი, ბენზინი, დიზელი და ა.შ.); • მყარი ნარჩენების განთავსებისას; • მყარი ნარჩენების ბიოლოგიურად გადამუშავებისას, • ნარჩენების ინსინერაციისა და ღია წვის პროცესში; • ჩამდინარე წყლების წმენდისა და ჩაღვრის დროს.
ტყის სექტორში	ტყის სექტორში სათბურის აირები წარმოიქმნება: • ტყის გაჩეხვისას; • ტყიანი საფარის ქვეშ მყოფი ფართობის მიწათსარგებლობის სხვა კატეგორიაში გადაყვანისას; • ნიადაგის დეგრადაციის დროს. ამრიგად, თუ ქვეპროგრამა შეიცავს რომელიმე ზემოაღნიშნულ პროცესს, მაშინ მიიჩნევა, რომ ის ახდენს სათბურის აირების გაფრქვევას.

ახლა უნდა განისაზღვროს ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ქმედებები უწყობს თუ არა ხელს სათბურის აირების გაფრქვევის შემცირებას. მაგალითად, ქვეპროგრამა გულისხმობს სარწყავი სისტემის განახლებას, რაც მოიცავს წყლის სატუმბი მოწყობილობების მოდერნიზებას. თუ არსებული ტუმბოები ჩანაცვლდება ენერგოეფექტური ტუმბოებით, მაშინ არხებში წყლის გადატუმბვისას შემცირდება სათბურის აირების გაფრქვევა და ენერგიის მოხმარება.

გახსოვდეთ რომ:

ტუმბოების შეცვლისას ახალ ენერგოეფექტურ ტუმბოს შეიძლება ჰქონდეს ძველზე მეტი სიმძლავრე აბსოლუტური მნიშვნელობით. მაგრამ თუ ნაკლები ენერგიაა საჭირო წყლის ერთეული მოცულობის ამოსატუმბად, ეს ქმედება განიხილება შემარბილებელ ღონისძიებად. მაგალითად, ღიახვზე დამონტაჟებულ სარწყავ სისტემაზე უნდა შეიცვალოს მდინარის წყლის საქაჩი ტუმბო ახლით, რომელიც საათში 2,5-ჯერ მეტ წყალს ამოტუმბავს. 10 კვტ სიმძლავრის ტუმბოს ნაცვლად უნდა დამონტაჟდეს 20 კვტ სიმძლავრის ტუმბო. მიუხედავად იმისა, რომ სრული სიმძლავრე ყოველ საათში გაორმაგდება, სარწყავ არხში 2,5-ჯერ მეტი წყალი გადაიტუმბება. შესაბამისად, სატუმბი წყლის ერთეული მოცულობისთვის დახარჯული ენერგია ნაკლები იქნება განახლებამდე საჭირო ენერგიასთან შედარებით.



“კლიმატის
ცვლილებასთან
ადაპტაციის დაგეგმვითი
განმარტება:
ეკოლოგიური,
სოციალური, ან
ეკონომიკური
სისტემების ან
კოლიტიკის შორება
ადაპტაციის ინტერესებზე
კლიმატის არსებული
ან მოსალოდნელი
ცვლილებების, მისი
გამოწმების ან
მისგან გამოწვეული
შედეგების საკასუხო
(LEG, 2011). შეიძლება
გამოიყოს ადაპტაციის
სხვადასხვა ფორმა, მათ
შორის წინმსწები და
საკასუხო ადაპტაცია,
კერძო და სახელმწიფო
ადაპტაცია, აგრეთვე,
ავტონომიური
და დამატებითი
ადაპტაცია” (IPCC
მეთხე შემფასებელი
ანგარიში, 2007).

წყარო: UNFCCC

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია მიზნად ისახავს კლიმატის რისკის ან მის მიმართ მოწყვლადობის (დაუცველობის) შემცირებას და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის გაზრდას. ადაპტაციის პრიორიტეტულობა სხვადასხვა ქვეყანაში დამოკიდებულია კლიმატის ცვლილების ამა თუ იმ ზემოქმედების სიმძლავრეზე და მის მიმართ მოწყვლადობაზე. მაგალითად, ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნების უმეტესობა არ განიცდის ზღვის დონის აწევის პირდაპირ ზეგავლენას, მაშინ როცა ეს მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს სანაპირო ზოლისთვის. საქართველოს მიერ მომზადებული ეროვნული შეტყობინებების თანახმად, კლიმატთან დაკავშირებული ბუნებრივი მოვლენების რიცხვს მიეკუთვნება ექსტრემალური ტემპერატურა, ძლიერი ნალექიანობა, მეწყერი, ღვარცოფი, წყალდიდობა, შტორმი, გვალვა და ა.შ.

საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი გამოყოფს მოსახლეობის ექვს ყველაზე დაუცველ ჯგუფს: ბავშვები და ახალგაზრდები, ქალები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, იძულებით გადაადგილებული პირები და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები. საქართველო სოფლის მეურნეობას, სატყეო მეურნეობას, ადამიანთა ჯანდაცვას, ინფრასტრუქტურას და ტურიზმს მიიჩნევს ყველაზე მოწყვლად სექტორებად.

გარდა ამისა, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, მთის ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება ითვლება ქვეყნის ყველაზე მოწყვლად რესურსებად.

კლიმატთან შესატყვისი ეროვნული სახელმწიფო დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით შემდეგი რვა სექტორი ითვლება პრიორიტეტულად ადაპტაციისთვის საქართველოში: ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, ტყე, ზღვის სანაპირო კურორტები, წყალი, ტურიზმი და ჯანდაცვა.

აქედან გამომდინარე, ქვე-დონის პროგრამები, რომლებიც მოიცავს ზემოაღნიშნულ სფეროებში განსახორციელებელ ქმედებებს და ხელს უწყობს ამ სექტორებში მოწყვლადობის შემცირებას და მდგრადობის გაზრდას, შეიძლება ჩაითვალოს კლიმატთან ადაპტაციის ქმედებებად. მაგალითად, ეროვნული შეტყობინების თანახმად, თუ ქვეყანა გაითვალისწინებს კლიმატის ცვლილების საკითხებს ტრანსპორტის სექტორის პოლიტიკაში, სტრატეგიებსა და განვითარების გეგმებში, ეს ქმედება შეიძლება იყოს მონიშნული, როგორც ადაპტაცია.



ფოტო: @Photosaint / freepik.com

ნაწილი მეორე: ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება

ბროშურის ეს ნაწილი წარმოგიდგენთ ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებას. იგი მოიცავს ამ კავშირების განსაზღვრის მიზნებსა და საფეხურებს, ასევე იძლევა მითითებებს კლიმატის შერბილებისა და ადაპტაციის ხელშეწყობის ქმედებების დასადგენად და აფასებს მათ წილს სახელმწიფო ბიუჯეტში.

რა არის ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება?

ბიუჯეტის კლიმატის
ცვლილებასთან
დაკავშირების
ლაპარაკობის
განმარტება:
"ბიუჯეტის კლიმატის
ცვლილებასთან
დაკავშირება არის
ეროვნული ბიუჯეტის
სისტემაში კლიმატთან
დაკავშირებული
ხარჯების
მონიტორინგისა და
მათზე თვალყურის
მიდევნების
ინსტრუმენტი."

წყარო: [NDC Partnership](#)

"ბიუჯეტის კლიმატის
ცვლილებასთან
დაკავშირება
არის სახელმწიფო
ბიუჯეტში კლიმატის
ცვლილებასთან
დაკავშირებული
ხარჯების
იდენტიფიცირება
შემდგომში მათი
მონიტორინგისა და
კონტროლის მიზნით".

წყარო: [Principles for Responsible Investment](#)

ჩვენ ვცხოვრობთ კლიმატის კრიზისის პერიოდში. კლიმატის ცვლილების შედეგად გამძაფრებული ადამიანური საფრთხე უქმნის ჩვენს ეკონომიკურ განვითარებას და სოციალურ უსაფრთხოებას. გაზრდილი დამოკიდებულება წიაღისეულ საწვავზე, როგორც ენერგიის ძირითად წყაროზე, ხელს გვიშლის კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებაში. ეკონომიკური სექტორების დეკარბონიზაცია და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების გაფართოება განიხილება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დანაკარგებისა და ზიანის შემცირების ერთ-ერთ გზად. კლიმატის ცვლილება ქმნის დამატებით სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით დანახარჯებს.

დაინტერესებულ მხარეები მზარდ ინტერესს გამოხატავენ იმგვარი ქმედებების განსაზღვრის და/ან დაფინანსების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას და მასთან ადაპტაციას. 2022 წელს ელექტრონულ სისტემაში დაინერგა კლასიფიკატორების მეშვეობით ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირების მექანიზმი. იგი პირველი სისტემური მიდგომაა, რომელიც საჯარო სექტორში კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების დასადგენად გამოიყენება.

„ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება არის კლიმატთან ბმული სახელმწიფო ხარჯების დადგენის, გაზომვისა და მონიტორინგის პროცესი, რომელსაც უძღვება მთავრობა.“

წყარო: [მსოფლიო ბანკის ჯგუფი](#)

რატომ არის ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება მნიშვნელოვანი?

"ბიუჯეტის კლიმატის
ცვლილებასთან
დაკავშირება
მნიშვნელოვანი
ინსტრუმენტია
მთავრობებისთვის,
რათა აკონტროლონ და
თვალყური ადევნონ თუ
რას ხარჯავენ კლიმატთან
დაკავშირებულ შედეგებზე
და ინვესტირებას
შეატყობინონ ამის
შესახებ".

წყარო: [World Bank](#)

ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების მიზნები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში: მაგ. კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სუფთა საწვავის მოხმარების წაყალბება, ენერგიის ეფექტური მოხმარების ხელშეწყობა, დამთავრებული კლიმატის პოლიტიკის განხორციელების წინსვლისთვის შიდა და საერთაშორისო ფინანსების მობილიზებით. ამჟამინდელი საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფო დაფინანსებაში ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების სარგებელს ასე ხედავს:

- კლიმატთან დაკავშირებული სახელმწიფო ხარჯებისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- დაფინანსების ნაკლებობისა და საჭიროებების დადგენა კლიმატის ეროვნული პოლიტიკის მიზნების მიღწევისთვის რესურსების მობილიზაციის ხელშესაწყობად (მაგ.: ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის მიზნები);

“ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება არის კლიმატზე ორიენტირებული ფინანსური ინსტრუმენტების ერთ-ერთი ნაპრატი, რომელიც შეაქმნილია რატომ უნდა დაეხმაროს კლიმატის ცვლილება ჩართონ სახელმწიფო დაფინანსების მართვაში, რომ შეარბილდეს კლიმატის ცვლილების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ზედმეტი.

წყარო: [United Nations Development Program](#)

- საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირება კლიმატთან დაკავშირებული ცოდნისა და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისთვის;
- ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის უპირობო ვალდებულებების გაძლიერება;
- კლიმატთან დაკავშირებული კატასტროფების მიერ გამოწვეული ზარალის შემცირება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პოლიტიკის პრიორიტეტებთან საბიუჯეტო ასიგნებების მორგების მეშვეობით;
- კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ანგარიშგებით ანგარიშვალდებულების გააქტიურება და გამჭვირვალობის ამაღლება;
- საშინაო და საერთაშორისო ფინანსების მობილიზება კლიმატის პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისთვის რესურსების განაწილების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების გზით;
- სუვერენული მწვანე ობლიგაციების გამოშვებისთვის ხელის შეწყობა;
- საერთაშორისო ვალდებულებების კონტექსტში კლიმატის დაფინანსების შესახებ ანგარიშის წარდგენა.

რა არის საფირო ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების წარმატებული პროცესისთვის

ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების პროცესი წარმოადგენს მრავალდარგოვან საქმიანობას, რომელიც მოიცავს არაერთ დარგდაშორის საკითხს. იგი დამოკიდებულია კავშირების განსაზღვრის სისტემის მიზნებზე და ქვეყანაში არსებულ გარემოებებზე, როგორცაა ინსტიტუციური კონტექსტი და ქვეყნის პოლიტიკის პრიორიტეტები. შესაბამისად, ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების კონკრეტული მეთოდოლოგია და ინსტიტუციური მოწყობა ეფუძნება ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების პროცესისთვის განსაზღვრულ მიზნებს.

ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების მიზნების იერარქია

ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების მიზნები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა სარგებლის ნახვა სურს ქვეყანას (როგორც ეს ზემოთაა აღნიშნული). უფრო მეტიც, ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდის (საშუალოვადიანი: 4 წლიანი) მიხედვით შეიძლება მიღწეული იქნას სხვადასხვა სარგებელი. მაგალითად, ქვეყნებს შეუძლიათ განსაზღვრონ მოკლე და გრძელვადიანი მიზნები ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებისთვის. შესაბამისად, ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების მიზნები დროთა განმავლობაში შეიძლება განახლდეს და გადაიხედოს გამომდინარე ქვეყნების განვითარების დინამიკიდან და ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების სისტემის განხორციელებას მიმდინარეობიდან.

გახსოვდეთ რომ:

სახელმწიფო დაფინანსებაში ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების უშუალო მიზანია შესაძლებლობა მისცეს საჯარო ფინანსების მართვის სისტემას საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახოს ინფორმაცია სხვადასხვა ჰორიზონტული ასპექტის (მათ შორის კლიმატი, გენდერი, მდგრადი განვითარების მიზნები და სხვა) ფისკალური გავლენის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკის ეფექტურ ფორმირებას და აღმასრულებელი უწყებების მიერ გათვითცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებას.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები ჩართულნი უნდა იყვნენ ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებაში. სახელმწიფო ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება უნდა ითვალისწინებდეს ბიუჯეტის შედგენის საფეხურებს. საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი დარგობრივი უწყებები ყველაზე უკეთ შეძლებენ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კლიმატის ცვლილების ხელშემწყობი ქმედებების დადგენას. კლიმატის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო) კი დაეხმარება განმახორციელებელ უწყებებს კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების დადგენაში.

გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უნდა მოიცავდეს შესაძლებლობების/უნარების გაძლიერებას. ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებაში მონაწილე პერსონალი უნდა მომზადდეს ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების მეთოდოლოგიის საფუძვლებში, რაც მოიცავს შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების გარჩევას, კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების გამოვლენას და ცალკეული საბიუჯეტო პროგრამების კლიმატთან მიმართებაში მყოფი ნაწილის დადგენას.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 1 მარტის N62 დადგენილებით, სამინისტროები და მათ დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ასევე საქვეუწყებო დაწესებულებები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების / ქვეპროგრამების კლიმატის ცვლილებასთან კავშირების იდენტიფიცირება.

ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირება საბიუჯეტო პროცესის შემადგენელი ნაწილია და, შესაბამისად, განსაზღვრულია საბიუჯეტო კალენდრით!

თითოეული სამინისტროს საფინანსო / ეკონომიკური დეპარტამენტი (ან სხვა შესატყვისი ერთეული) პასუხისმგებელია ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების პროცესის კოორდინაციაზე და მოეთხოვება დაუკავშირდეს დარგობრივ სააგენტოებს (ქვეუწყებებს) ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირების ყოველწლიური ციკლის დასაწყისში ამ პროცესის ორგანიზებული წარმართვის მიზნით.

საბიუჯეტო კალენდარი

თარიღი

პროცესი (2024 წ. მაგალითი)

იანვარი

31 იანვარი - ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვერსიის მომზადებას ადგილობრივი ხელისუფლებისა და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე და საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგენს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს (საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-13 პუნქტი).

მარტი

1 მარტი – ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მოსამზადებლად, საქართველოს მთავრობის დადგენილება 1 მარტამდე განსაზღვრავს ინფორმაციის ჩამონათვალს და ვადებს მოთხოვნილი მონაცემების წარმოსადგენად მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი ხელისუფლებისა) (საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

10 მარტი - სამინისტროები შესაბამისი მინისტრის ბრძანებით უზრუნველყოფენ სამუშაო ჯგუფის შექმნას/განახლებას, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ქვეყნის 2024-2027 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების და წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადებას საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 თებერვლის N90 დადგენილებაზე დაყრდნობით.

31 მარტი – საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 თებერვლის N90 დადგენილების შესაბამისად, არაუგვიანეს 31 მარტისა იქმნება / ხელახლა ინიშნება სამუშაო ჯგუფის პირველი საორგანიზაციო შეხვედრა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების, შუალედური სამოქმედო გეგმის და წლიური ბიუჯეტის სამუშაო ვერსიის მოსამზადებლად. შეხვედრაში მონაწილეობენ ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტისა და სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრი) წარმომადგენლები.

აპრილი

28 აპრილი - საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 თებერვლის N90 დადგენილებით, სამინისტროები და სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა მხარჯავი დაწესებულებები არაუგვიანეს 28 აპრილისა ამზადებენ და ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ:

საბიუჯეტო კალენდარი

თარიღი

პროცესი (20246 მაგალითი)

აპრილი

ა) ინფორმაციას საქართველოს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ. მომდევნო 3 წლის განმავლობაში, N1 დანართის შესაბამისად, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით მათთვის განსაზღვრული ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობის ფარგლებში;

ბ) დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობის და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ, რომლებიც ითვალისწინებს მიმდინარე და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ ინფორმაციის მომზადებას, N2 დანართის შესაბამისად;

გ) დამატებით ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის N1ა დანართის შესაბამისად, თუ ასიგნებებისა და რაოდენობების ზღვრები განსხვავდება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პარამეტრებისგან.

28 აპრილი – არაუგვიანეს 28 აპრილისა, სახელმწიფო ბიუჯეტის მხარტავი უწყებების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები აგზავნიან ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, თავიანთი ინვესტიციების/კაპიტალის პროგნოზების შესახებ, რათა ეფექტურად განახორციელონ სახელმწიფო ინვესტიციების მართვის რეფორმირების დაგეგმილი ღონისძიებები (სწავლება, სამუშაო შეხვედრები) 2023 წელს.

მაისი

22 მაისი - საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 თებერვლის N90 დადგენილების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ბიუჯეტის მხარტავ უწყებებს 2024-2027 წლების სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის პირველადი საორიენტაციო ზღვრული მოცულობების შესახებ.

ივნისი

1 ივნისი - საქართველოს მთავრობა ყოველი წლის 1 ივნისამდე წარუდგენს საქართველოს პარლამენტს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ, რათა შეუთანხმოს პარლამენტის კომიტეტებს ძირითადი მონაცემები და მიმართულებები მომდევნო სამი წლის განმავლობაში (საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 34, პუნქტი 4).

საბიუჯეტო კალენდარი

თარიღი

პროცესი (20246 მაგალითი)

ივნისი

15 ივნისი - 1. საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მომავალი წლის ბიუჯეტის სამუშაო ვერსიებს საქართველოს პარლამენტი წარუდგენს მთავრობას არაუგვიანეს 15 ივნისისა (საბიუჯეტო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი).

2. ავტონომიური რესპუბლიკები ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ძირითად მონაცემებს მომავალ წელს საჭირო ფინანსური დახმარების ოდენობის შესაფასებლად (საბიუჯეტო კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

20 ივნისი - პარლამენტის კომიტეტების ექსპერტთა მოსაზრებები მომდევნო სამი წლის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შესახებ ეგზავნება საქართველოს მთავრობას (საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

30 ივნისი - საქართველოს სამინისტროები ამტკიცებენ მომდევნო სამი წლის საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს, რომლებიც მოიცავს როგორც მათ პრიორიტეტებს, ასევე პროგრამებსა და ღონისძიებებს (საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

ივლისი

5 ივლისი - სამინისტროები არაუგვიანეს 5 ივლისისა წარუდგენენ ფინანსთა სამინისტროს დამტკიცებულ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს (მუხლი 5, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 თებერვლის N90 დადგენილება).

10 ივლისი - საქართველოს მთავრობა იწონებს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველ ვარიანტს მომდევნო სამი წლისთვის არა უგვიანეს ყოველი წლის 10 ივლისისა (საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

15 ივლისი – 1. ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს მხარტავი დაწესებულებებისთვის ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით საბიუჯეტო განაცხადის ფორმის მიწოდებას, მთავრობის მიერ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 5 დღისა (საბიუჯეტო კოდექსის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

2. ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე წლის 15 ივლისამდე აცნობებს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს მომდევნო ფისკალური წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ (საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

საბიუჯეტო კალენდარი

თარიღი

პროცესი (2024 წ. მაგალითი)

ივლისი

3. ფინანსთა სამინისტრო აცნობებს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე ავტონომიურ რესპუბლიკებს მომდევნო ფისკალური წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ (საბიუჯეტო კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

სექტემბერი

1 სექტემბერი - მხარტავი დაწესებულებები არაუგვიანეს ყოველი წლის 1 სექტემბრისა წარუდგენენ ფინანსთა სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტის წინადადებებს ელექტრონული ბიუჯეტის მართვის სისტემის მეშვეობით. საბიუჯეტო წინადადება მოიცავს მინიმუმ საბიუჯეტო კოდექსის 36-ე მუხლის 1 პუნქტში ჩამოთვლილ ინფორმაციას.

25 სექტემბერი - ფინანსთა სამინისტრო არა უგვიანეს ყოველი წლის 25 სექტემბრისა საქართველოს მთავრობას წარუდგენს მომავალი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განახლებულ დოკუმენტს მომდევნო სამი წლისთვის (საბიუჯეტო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ოქტომბერი

1 ოქტომბერი - საქართველოს მთავრობა არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად (საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

5 ოქტომბერი - 1. ფინანსთა სამინისტრო არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა აცნობებს ავტონომიურ რესპუბლიკას მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური მხარდაჭერის გამოყოფის შესახებ (საბიუჯეტო კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

2. ფინანსთა სამინისტრო ყოველი წლის 5 ოქტომბრამდე აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მომავალი წლის მიზნობრივი ტრანსფერების სავარაუდო ზღვარს (საბიუჯეტო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი პუნქტი).

3. ფინანსთა სამინისტრო არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა აცნობებს მუნიციპალიტეტებს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სამუშაო ვერსიით გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერისა და საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს (საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

საბიუჯეტო კალენდარი

თარიღი

პროცესი (2024 წ. მაგალითი)

ნოემბერი

22 ოქტომბერი – საქართველოს პარლამენტი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნას მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე უგზავნის საქართველოს მთავრობას. დასკვნები სარეკომენდაციო ხასიათისაა (საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

5 ნოემბერი - საქართველოს მთავრობა არაუგვიანეს ყოველი წლის 5 ნოემბრისა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს იმ ინფორმაციასთან ერთად, გაითვალისწინა თუ არა მიღებული წინადადებები და კომენტარები. ამის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განიხილება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე (საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

20 ნოემბერი – პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნა, ასევე საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები ეგზავნება საქართველოს მთავრობას (საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

30 ნოემბერი - საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს და ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს, პლენარულ სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად (საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტი).

დეკემბერი

21 დეკემბერი - საქართველოს პარლამენტი მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტს კენჭს უყრის არა უგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი მტკიცდება მარტივი უმრავლესობით, ერთი მოსმენით (საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-8 პუნქტი).

31 დეკემბერი - თუ საქართველოს პარლამენტი დეკემბრის მესამე პარასკევის ჩათვლით ვერ დაამტკიცებს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, საქართველოს მთავრობასა და დეპუტატთა შეთანხმების კომისიას შორის შეტყობილებულ სახელმწიფო ბიუჯეტის იგივე ან განახლებულ ვერსიას შეიძლება კენჭი ეყაროს 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 31 დეკემბრისა (საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-11 პუნქტი).

მაგალითი:

რაკომენდებულია, რომ
თქვის ალდგენის
წვეპროგრამა, რომელიც
მიზნად ისახავს
ნახშირორჟანგის
ჩაჭარის უნარის გაზრდას,
მოინიშნოს, როგორც
100%-ით შემარბილებელი
ლონისძიება.

მაგალითი:

კიოტოს ოქმისა და
პარიზის შეთანხმების
განხორციელებასთან
დაკავშირებული
დანახარჯები შეიძლება
სრულად იყოს მონიშნული
როგორც კლიმატის
ცვლილებასთან
შესაბამისი, ვინაიდან
ისინი თანაბრად ხმარდება
კლიმატის
ცვლილების შერბილებას
და მასთან ადაპტაციას.
შესაბამისად, თოთხუთ
ამ სფეროში შეთანხმებული
წვლილი შეიძლება 50%-ით
განისაზღვროს.

ნაბიჯი 1

უპირველეს ყოვლისა, დარგობრივმა სამინისტროებმა უნდა გამოავლინონ კლიმატთან კავშირში მყოფი შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებები ქვეპროგრამებში (მაგ.: 24 14 03 04). ამ დროს პროგრამის შინაარსის ცოდნა ქვეპროგრამის განმახორციელებელს საშუალებას აძლევს ზუსტად დაადგინონ ქვე-პროგრამების კლიმატის ცვლილებასთან კავშირი.

როგორ მოვძებნოთ კავშირი ქვეპროგრამებსა და შერბილება / ადაპტაციას შორის?

